საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/156 " 18 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ლ. კლდიაშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ლაშა კლდიაშვილი 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
ლაშა კლდიაშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 30 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ლაშა კლდიაშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ლაშა კლდიაშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 19-წლიანი გამოცდილება. 2017-2019 წლებში იყო შსს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ლაშა კლდიაშვილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით ლაშა კლდიაშვილმა წარმატებით გაართვა თავი სასწავლო კურსის ყველა ეტაპს. იგი იყო დისციპლინირებული მსმენელი, იცავდა სკოლის წესდებითა და შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ლაშა კლდიაშვილს გაესაუბრნენ 13 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა კანდიდატი ლაშა კლდიაშვილი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ლაშა კლდიაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 14-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო ერთმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ლაშა კლდიაშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1296 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 86.40%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის პირველ ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, ლაშა კლდიაშვილმა მოიპოვა 12 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 23 კანდიდატი, მათგან 6 მოქმედი მოსამართლე, 8 ყოფილი მოსამართლე და 9 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბარამიძე ია - 0 ხმა
2. ბარდაველიძე ლევან - 0 ხმა
3. გიორგაშვილი სანდრო - 0 ხმა
4. გიორგაძე ნინო - 0 ხმა
5. გოგალაძე ირმა - 0 ხმა
6. დარახველიძე გიორგი - 2 ხმა
7. თხელიძე ქეთევან - 0 ხმა
8. კაკაურიძე შალვა - 0 ხმა
9. კლდიაშვილი ლაშა - 12 ხმა
10. კოპალიანი კონსტანტინე - 0 ხმა
11. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
12. მაისურაძე მადონა - 0 ხმა
13. ნადოი რეზო - 0 ხმა
14. ნარიმანიშვილი დავით - 0 ხმა
15. ნაჭყებია ნინო - 0 ხმა
16. უბილავა გიზო - 0 ხმა
17. ფუხაშვილი მორის - 0 ხმა
18. შკუბულიანი ლელა - 0 ხმა
19. შოშიაშვილი მაია - 0 ხმა
20. ჩიქოვანი გვანცა - 0 ხმა
21. ხარჩილავა ხათუნა - 0 ხმა
22. ჯვარშეიშვილი მაია - 0 ხმა
23. ჯინჯოლია მიხეილ - 0 ხმა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ლაშა კლდიაშვილის კეთილსინდისიერების (საბჭოს 14-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (პროფესიული თვისებების, სამართლის ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის,) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 22 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა ლაშა კლდიაშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი